ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/18556-16 18. 05. 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი – დიდუბე), სტანისლავსკის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი – დიდუბე), სტანისლავსკის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

II სართული

წინა ფასადზე "3-4", "6-8" და "9-10" მონაკვეთებში მეორე სართულის აივნების თავზე დამატებულია საჩრდილობლები. აივნებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის დანადგარები. აივნების თავზე "1-2" და "11-12" მონაკვეთებში საჩრდილობლის გადახურვის ძირები მოსაპირკეთებელია. "6-7" მონაკვეთში განთავსებულია კონდიციონერი. "5-6" მონაკვეთში მოწყობილია მცირე გამწოვი ღიობი. "4-4" და "9-9" ღერძებზე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარი. "დ-გ" მონაკვეთში ვიტრაჟში კარი გადაადგილებულია.

უკანა ფასადზე II სართულზე ვიტრაჟების სიმაღლე შემცირებულია. "10-9", "8-7" და "6-5" მონაკვეთებში ფანჯრების ქვევით მოწყობილია მცირე ნიშა. "6-5" და "10-9" მონაკვეთებში აივნებზე განთავსებულია გამათბობლის დანადგარები.

გვერდით ფასადების მხარეს საჩრდილობლები დაწეულია ქვევით და ძირი მოსაპირკეთებელია. შესაღებია ლითონის სვეტები. "დ-გ" მონაკვეთში ვიტრაჟში კარი გადაადგილებულია.

წინა მხარეს "4-4" და "9-9" ღერძებთან (ორ ადგილას) ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარები. "ე-დ" მონაკვეთში გადახურვის ქვეშ არსებული ლითონის სვეტები არ არის ასახული პროექტში და საპროექტო გადახურვა აწეულია ზევით დაახლოებით 20 სმ.-ით.

VIII სართული

წინა ფასადზე "2-3" მონაკვეთში "2-2" ღერძთან აივნის ქვეშ რიგელი არ არის ასახული ფასადის ნახაზზე და დამატებულია კედლის დეტალი. აივნის თავზე დამატებულია საჩრდილობლის კონსტრუქცია. "4-5", "6-7" და "8-9" მონაკვეთებში საჩრდილობლების ძირები მოსაპირკეთებელია. "8-9" მონაკვეთში კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა, "10-10" ღერძთან აივნის გამყოფი კედელი შემცირებულია, "10-11" მონაკვეთში აივანზე განთავსებულია გამათბობლის დანადგარი, გაუქმებულია ერთი ფანჯარა და დამატებულია კარი.

უკანა ფასადზე "11-10" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ფანჯარა და დამატებულია კარი. აივანზე დამატებულია გამათბობლის დანადგარი და კონდიციონერი. "10-9" და "6-5" მონაკვეთებში +26.85 ნიშნულზე ფრანგული აივნების ქვეშ დამატებულია ფილის დეტალები. "6-5" მონაკვეთში ვიტრაჟში კარი გადაადგილებულია.

გვერდით ფასადზე "ბ-გ" მონაკვეთში ფრანგული აივნის კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა.

გვერდით ფასადზე "დ-გ" მონაკვეთში კედელი გადმოწეულია წინ დაახლოებით 40 სმ.-ით.

IX სართული

წინა ფასადზე "3-4" და "9-10" მონაკვეთებში ფანჯრების სიმაღლე შემცირებულია დაახლოებით 20 სმ.-ით. "3-3" ღერძთან აივანზე გამოსასვლელი ვიტრაჟის სიმაღლე

შემცირებულია დაახლოებით 20 სმ.-ით. "2-3" და "10-11" მონაკვეთებში სახურავის გადახურვის ძირები მოსაპირკეთებელია. "11-11" ღერძთან ფანჯარას შორის მოწყობილია ლითონის მილი.

უკანა ფასადზე "11-10" მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის სიმაღლე დაახლოებით 40 სმ.-ით. "7-6" მონაკვეთში ვიტრაჟში კარი გადაადგილებულია და აივანზე დამატებულია გამათბობლის დანადგარი. "4-3" მონაკვეთში (კედლის უკან) ვიტრაჟში კარი გადაადგილებულია, შემცირებულია ფანჯრის სიგანე და ლითონის მოაჯირებზე დამატებულია მინა.

გვერდით ფასადზე "ბ-დ" მონაკვეთში ვიტრაჟის სიმაღლე შემცირებულია დაახლოებით 30 სმ.-ით. "გ-დ" მონაკვეთში გაზრდილია ფანჯრის სიგანე.

გვერდით ფასადზე "დ-გ" ლითონის მოაჯირზე დამატებულია მინა. "დ-დ" ღერძთან აივანზე გამოსასვლელი კედელი შეწეულია უკან დაახლოებით 60 სმ.-ით და დამატებულია კარი. აღნიშნულ აივანზე განთავსებულია ორი გამათბობლის კარადა და კედლის ნაწილი შეღებილია განსხვავებულ ფერში. "დ-დ" ღერძთან და "გ-ბ" მონაკვეთში განთავსებულია კონდიციონერი.

X სართული

წინა ფასადზე "6-7" მონაკვეთში ვიტრაჟში დამატებულია კარი და მის წინ განთავსებულია მოაჯირი. "3-3" და "10-10" ღერძებზე განთავსებულია სვეტები, რის გამოც შემცირებულია ფანჯრების სიმაღლე დაახლოებით 20 სმ.-ით და გადაადგილებულია. "4-4" ღერძთან კედელი გადმოწეულია "5-5" ღერძისაკენ დაახლოებით 20 სმ.-ით. სახურავის ძირი მოსაპირკეთებელია. "4-5" და "8-9" მონაკვეთებში კარის ღიობები შესავსებია.

უკანა ფასადზე "10-15" მონაკვეთში "დ-დ" ღერძზე კედელი გადმოწეულია წინ დაახლოებით 15 სმ.-ით. "7-6" მონაკვეთში ვიტრაჟში კარი გადაადგილებულია. "3-2" მონაკვეთში კედელზე გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები. "10-5" მონაკვეთში ვიტრაჟების თავზე ღებეს ჰორიზონტალური ხაზი ჩამოწეულია ქვევით.

გვერდით ფასადების მხარეს "ბ-გ" და "გ-ბ" მონაკვეთებში შემცირებულია ფანჯრების გაბარიტი. "ბ-დ" მონაკვეთში შეცვლილია IX სართულის გადახურვის კონფიგურაცია.

"3-3" და "10-10" ღერძებზე "ბ-გ" მონაკვეთში შეცელილია გადახურვის კონფიგურაცია.

X სართულის შიგნით "2-4" მონაკვეთში გადახურვის ქვეშ განთავსებული ლითონის დგარები არ არის ასახული პროექტში. "9-10" მონაკვეთში ფილაში მოწყობილია ღიობი (2.0X3.50 მ.)

სართულებზე საპროექტო ღიობების გაბარიტების სხვაობა წარმოადგენს დაახლოებით 10-15 სმ.-ს. "3-4" მონაკვეთში დამატებულია წყალმიმღები მილი.

"დ-გ" მონაკვეთში IX სართულზე აივნის გამყოფი ტიხარი არ არის ასახული ფასადის ნახაზზე. (შესრულებულია გეგმის ნახაზის მიხედვით) "გ-ბ" მონაკვეთში აივნის გვერდით კედლის დეტალის გეგმის და ფასადის ნახაზები არ ემთხვევა ერთმანეთს. X სართულზე უკანა მხარეს "10-10" ღერძთან მოაჯირის დეტალი არ ემთხვევა საპროექტოს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ამხანაგობა "სტანისლავსკის 5"-ს, ქ. თბილისში, (სექტორი – დიდუბე), სტანისლავსკის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/18556-16 08.02.2012წ. №12/18556-16 02.04.2012წ. განცხადებები.

უფროსის პირველი მოადგილე ვ. მუჯირიშვილი